ეროვნული ბიბლიოთეკა

Тбилисский филиал ИМЭЛ при ЦК ВКП(б)
Библиотека

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის
მთავრობის

# დადგენილებათა და განკარგულებათა კრებული

1939 წ. ოქტომბრის 8 | № 20 | თბილისი

## შინაარსი

### სახალხო კომისართა საბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებანი

**82.** იმ რაიონების სიის დამტკიცების შესახებ, რომელთა კოლმეურნეობებშიაც შრომადღეების სავალდებულო მინიმუმი წლიწადში დაწესებულია 60 შრომადღე.

**83.** საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსა და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ზოგიერთ დადგენილებათა გაუქმების შესახებ.

### სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

**84.** რესპუბლიკური და ადგილობრივი ქვემდებარეობის უწყებებისა და ორგანიზაციების მასალებით, მოწყობილობითა და სათბობით მომარაგების წლიური და კვარტალური განაცხადების შედგენის წესის თაობაზე საქ. სსრ სახკომსაბჭოს მიერ გამოცემული დადგენილების ნაწილობრივად შეცვლის შესახებ.

**85.** კაპიტალური მშენებლობის ფინანსირების ოპერაციების მომსახურეობის გამო საქართველოს კომუნალური ბანკისათვის საკომისიო ანაზღაურების დაწესების შესახებ.

**86.** 1939 წელში სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ჩატარების შესახებ.

**87.** ქ. თბილისში „გაზ ა" მსუბუქი მანქანების მოძრაობის აკრძალვის შესახებ.

**88.** თელავისა და ზემო-სვანეთის რაიონებში წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლების მეცადინეობაზე დაუსწრებლობისათვის მოქალაქეთა დაჯარიმების შესახებ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# სახალხო კომისართა საბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებანი

82. **იმ რაიონების სიის დამტკიცების შესახებ, რომელთა კოლმეურნეობებშიაც შრომადღეების სავალდებულო მინიმუმი წლიწადში დაწესებულია 60 შრომადღე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საკ კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1939 წ. 20 აგვისტოს დადგენილების შესაბამისად „მარცვლეულისა და მეცხოველეობის მაღალმთიანი რაიონების სიის დამტკიცების შესახებ“ (სსრკ დადგ. კრ. 1939 წ. № 49, მუხ. 393) დამტკიცდეს ქვემოთ მოყვანილი სია საქართველოს სსრ მარცვლეულისა და მეცხოველეობის მაღალმთიანი რაიონებისა, რომელთა კოლმეურნეობებშიაც 1939 წლიდან, თანახმად საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1939 წ. 27 მაისის დადგენილებისა „კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მიწების განიავებისაგან დაცვის ღონისძიებათა შესახებ“ (სსრკ დადგ. კრ. 1939 წ. № 34 მუხ. 235) უნდა დაწესდეს 1939 წლიდან შრომადღეების სავალდებულო მინიმუმი თითოეული შრომისუნარიანი კოლმეურნისა და კოლმეურნე ქალისათვის წლიწადში 60 შრომადღე:

1. ალბულახის
2. ადიგენის
3. ამბროლაურის
4. ასპინძის
5. ახალციხის
6. ახალქალაქის
7. ბაშკიჩეთის
8. ბოგდანოვკის
9. ბორჯომის
10. დუშეთის
11. ზემო-სვანეთის
12. ყაზბეგის
13. ქვემო-სვანეთის
14. ო ნ ი ს
15. ორჯონიკიძის
16. თიანეთის
17. ტყიბულის
18. ცაგერის
19. წალკის
20. ხულოს
21. ქედის
22. ჯავის
23. ლენინგორის
24. ჭიათურის

2. დაევალოს საქართველოს კ. პ. (ბ) საოლქო და სარაიონო კომიტეტების მდივნებს, ავტონომიური რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოების და ზემოაღნიშნული რაიონების რაიაღმასკომების თავმჯდომარეებს ერთი დეკადის ვადაში დაიყვანონ ეს დადგენილება ყველა კოლმეურნეობამდე და განუმარტონ ეგი ყველა კოლმეურნესა და კოლმეურნე ქალს.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს
თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის
მდივანი **კ. ჩარკვიანი.**

1939 წ. აგვისტოს 22. № 1592.
თბილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 83. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსა და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრა-რალური კომიტეტის ზოგიერთ დადგენილებათა გაუქმების შესახებ.

დაკავშირებით სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1939 წ. 8 ივლისის დადგენილებისა „კოლმეურნეობებში საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ (სსრკ დადგ. კრ. 1939 წ. № 42, მუხ. 316), საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1940 წლის 1 იანვრიდან ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის შემდეგი დადგენილებანი:

1. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსა და საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1932 წლის 5 ნოემბრის დადგენილება „ხორცის დამზადების თაობაზე გამოცემული სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს და სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1932 წ. სექტემბრის 23-ის დადგენილების საქართველოს სსრ ტერიტორიაზე განხორციელების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ. № 24, მუხ. 244).

2. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსა და საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1933 წლის 15 ნოემბრის დადგენილება „სახელმწიფოსათვის ხორცის სავალდებულო ჩაბარების კანონის განხორციელების შესახებ“ (1933 წ. საქ. სსრ კან. კრ. № 25, მუხ. 330).

3. მუხლი 11 საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსა და საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1933 წლის 17 ნოემბრის დადგენილებისა „უძროხო კოლმეურნეებისათვის ძროხების შეძენაში დახმარების გაწევის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1933 წ. № 26, მუხ. 341).

4. მუხლი 10 საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსა და საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1936 წლის 17 ივნისის დადგენილებისა „საქართველოს სსრ-ში 1936 წ. მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1936 წ. № 17, მუხ. 98).

5. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1936 წლის 5 ნოემბრის დადგენილება „1937 წელს სახელმწიფოსათვის ხორცის სავალდებულო ჩაბარების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1936 წ. № 31, მუხ. 181, 182).

6. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1938 წლის 10 იანვრის № 31 დადგენილება „სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული დამზადებათა კომიტეტის ინსტრუქციის შესახებ „1938 წელს სახელმწიფოსათვის ხორცის სავალდებულო ჩაბარების ჩატარების წესის შესახებ“.

7. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსა და საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1939 წ. 29 იანვრის დადგენილება „1939 წ. სახელმწიფოსათვის ხორცის სავალდებულო ჩაბარების შესახებ“ (საქ. სსრ დადგ. კრ. 1939 წ. № 3, მუხ. 10).

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს
თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის
მდივანი **კ. ჩარკვიანი.**

1939 წ. სექტემბრის 14. № 1728.
თბილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

**84. რესპუბლიკური და ადგილობრივი ქვემდებარეობის უწყებებისა და ორგანიზაციების მასალებით, მოწყობილობითა და სათბობით მომარაგების წლიური და კვარტალური განაცხადების შედგენის წესის თაობაზე საქ. სსრ სახკომსაბჭოს მიერ გამოცემული დადგენილების ნაწილობრივად შეცვლის შესახებ.**

შესაბამისად სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1939 წ. 21 აპრილის დადგენილებისა „1939 წ. II კვარტალში მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ბალანსებისა და გეგმების თაობაზე სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულ ეკონომიურ საბჭოს 1939 წლის 11 აპრილს გამოცემული დადგენილების 11,13 და 14 მუხლების დამტკიცების შესახებ“ (სსრკ დადგ. კრ. 1939 წ. № 28, მუხ. 185), საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებები საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1938 წლის 28 დეკემბრის დადგენილებაში „მასალებით, მოწყობილობითა და სათბობით რესპუბლიკური და ადგილობრივი ქვემდებარეობის უწყებათა და ორგანიზაციათა მომარაგების წლიური და კვარტალური განაცხადებისა და გეგმების შედგენის წესის შესახებ“ (საქ. სსრ დადგ. კრ. 1938 წ. № 10, მუხ. 56):

1. დანართი № 1 შევსებულ იქნას შემდეგი შინაარსის 20-23 მუხლებით:
   „20. ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატი
   21. ვაჭრობის სახალხო კომისარიატი
   22. ფინანსთა სახალხო კომისარიატი
   23. ცეკავშირი“.
2. დანართი № 2 შევსებული იქნას შემდეგი შინაარსის 29—31 მუხლებით:
   „29. ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატი
   30. ვაჭრობის სახალხო კომისარიატი
   31. ცეკავშირი“.
3. დანართი № 3 შევსებული იქნას შემდეგი შინაარსის 21—24 მუხლებით:
   „21. ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატი
   22. ვაჭრობის სახალხო კომისარიატი
   23. ფინანსთა სახალხო კომისარიატი
   24. ცეკავშირი“.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მ. ა. ი. **შელეგია.**

1939 წ. სექტემბრის 10. № 1695.

თბილისი.

მუხ/85
ეროვნული ბიბლიოთეკა

## 85. კაპიტალური მშენებლობის ფინანსირების ოპერაციების მომსახურეობის გამო საქართველოს კომუნალური ბანკისათვის საკომისიო ანაზღაურების დაწესების შესახებ.

კაპიტალური დაბანდების ფინანსირების ოპერაციების მომსახურეობისათვის საქართველოს კომბანკის ნორმალური ანაზღაურებისა და მით ამ ბანკის წაუგებელი მუშაობის უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ნება დაერთოს საქართველოს კომბანკს, დაწყებული 1939 წლის იანვრიდან ყველა სახის კაპიტალურ დაბანდებათა ფინანსირების ოპერაციების მომსახურეობისათვის თავის კლიენტურას გადაახდევინოს საკომისიო ანაზღაურება ყველა წყაროდან კაპიტალური ხარჯებისათვის ფაქტიურად გაცემული თანხების 0,5% რაოდენობით (ბიუჯეტი, შენელებული ორგანიზაციების საკუთარი სახსრები საამორტიზაციო ანარიცხების ჩათვლით),

2. დაევალოს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს ყოველწლიურად განიხილოს და დაამტკიცოს კომბანკის შემოსავლისა და გასავლის ხარჯთაღრიცხვა, განსაკუთრებით გამოჰყოს კაპიტალურ დაბანდებათა ფინანსირების ოპერაციების მომსახურეობის საკომისიო ანაზღაურების საერთო თანხა და საპროცენტო განაკვეთი.

3. დაევალოს ყველა სახალხო კომისარიატს და ცენტრალურ დაწესებულებას კაპიტალური ხარჯების ხარჯთაღრიცხვების ტექნიკური მეთვალყურეობის მუხლის შემადგენლობაში, დაწყებული 1939 წლიდან გაითვალისწინონ კომბანკის საკომისიო ანაზღაურების ხარჯები საქ. სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ დამტკიცებული პროცენტული განაკვეთის ოდენობით ხარჯების მიმართ, ხოლო 1939 წლიდან გარდამავალ მშენებლობებში მოახდინონ ხარჯთაღრიცხვების გადაანგარიშება და მათში შეიტანონ საკომისიო ანაზღაურების თანხა, რომელიც შეეხება ხარჯების გარდამავალ მოცულობას.

4. დადგენილ იქნას, რომ საკომისიო ანაზღაურების ის თანხა, რომელიც შეიძლება აღემატებოდეს კომბანკის ფაქტიურ ხარჯებს საქ. სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ დამტკიცებულ შემოსავლისა და გასავლის ხარჯთაღრიცხვით არ შეიძლება მიეკუთვნოს კომბანკის დაგროვებებს, არამედ უნდა ჩაირიცხოს საქართველოს სსრ ბიუჯეტის შემოსავალში.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე ვ. ბაქრაძე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მ. ა. ი. შელეგია.

1939 წ. სექტემბრის 10. № 1711.
თბილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 86. 1939 წელში სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ჩატარების შესახებ.

თანახმად სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მითითებისა მიმდინარე წელში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეოთხე, რიგგარეშე სესიის მიერ მიღებული სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კანონის ჩატარების შესახებ, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს აფხაზეთის და აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის და ყველა რაიონული აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეებს:

ა) მოაწყონ სოფლის მოსახლეობის შორის განმეორებითი განმარტება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეოთხე რიგგარეშე სესიის მიერ მიღებული სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კანონისა და მიაღწიონ, რომ იგი ნამდვილად იქნას დაყვანილი თითოეულ კოლმეურნემდე, კოლმეურნე ქალამდე და ერთპიროვნულ მეურნემდე;

ბ) დაუყოვნებლივ შეუდგნენ სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გადამხდელთა, კოლმეურნე და ერთპიროვნულ მეურნეთა პირადი მეურნეობის დასაბეგრი შემოსავლის, აგრეთვე გადამხდელთა არასამიწათმოქმედო და საბაზრო შემოსავლის აღრიცხვას სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ახალი კანონის შესაბამისად, იმ ანგარიშით, რომ გადამხდელთა, შემოსავალთა აღრიცხვა და გადასახადის გამოანგარიშება დამთავრდეს არა უგვიანეს 1939 წ. 1 ოქტომბრისა;

გ) 1939 წ. 25 სექტემბრამდე ჩაატარონ რაიონის ხელმძღვანელ საფინანსო მუშაკების და საგადასახადო აგენტების თათბირი, რომელზედაც გულდასმით განმარტონ სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კანონი და სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატის ინსტრუქცია.

დ) სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ახალი კანონის წარმატებით და დროულად გატარების მიზნით საფინანსო ორგანოების დასახმარებლად გამოჰყონ რაიონის ხელმძღვანელი მუშაკები და მიამაგრონ ისინი სასოფლო საბჭოებს;

ე) მეთვალყურეობა გაუწიონ სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კანონით დაწესებული შეღავათების სისწორით შეფარდებას.

ვ) არა უგვიანეს 1939 წ. 1 ოქტომბრისა წარმოუდგინონ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს სიები და დასაბუთებული მასალები სტიქიურ უბედურების გამო დაზარალებულ იმ მეურნეობებისა, რომლებიც განთავისუფლებული უნდა იქნან მთლიანად ან ნაწილობრივ სასოფლო-სამეურნეო გადასახადიდან, თანახმად სასოფლო სამეურნეო გადასახადის კანონის 26 მუხლისა.

ზ) წარმოუდგინონ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს რაიონის ხელმძღვანელ მუშაკების სია არა უმეტეს 30 კაცისა რაიონზე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომლებიც არ დაიბეგრებიან გადასახადით თანახმად სასოფლო-სამე-ურნეო გადასახადის კანონის მე-27 მუხლისა.

**2**. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეოთხე რიგგარეშე სესიის მიერ სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ მიღებული კანონის მეოთხე მუხლის შესაბამისად:

ა) განისაზღვროს დასაბეგრი შემოსავლის საშუალო ნორმები იმ კულტურებზე, რომლებიც არ არის აღნიშნული სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კანონის მე-3 მუხლში შემდეგი ოდენობით: ერთ ჰექტარ შაქრის ჭარხლის ნათესზე 300 მან. ერთ ჰექტარ ჩაის პლანტაციაზე 2000 მანეთი, ერთ ჰექტარ ლუფის ნათესზე 4000 მანეთი, ერთ ჰექტარ კეთილშობილ დაფნზე 2000 მან. ერთ ჰექტარ ციტრუსოვანთა პლანტაციებზე ჩოხატაურის, სამტრედიის, აბაშის, ცხაკაიას, გეგეჭკორის, ჩხოროწყუს, ხობის, წალენჯიხის და ზუგდიდის რაიონებისათვის 3500 მან. და აფხაზეთის და აჭარის ასსრ რაიონებისათვის და ფოთის, მახარაძის და ლანჩხუთის რაიონებისათვის 6500 მან.

ბ) განისაზღვროს შემოსავლიანობის საშუალო ნორმა მეაბრეშუმეობისათვის 150 მან. რაოდენობით ერთ კოლოფ აბრეშუმის თესლიდან, ხოლო მეფუტკრეობისათვის 30 მან. თითოეულ ჩარჩოიანი სკიდან და 15 მან. ბუკიანი სკიდან;

გ) სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კანონის მე-4 მუხლის შესაბამისად დაწესდეს საქ. სსრ ცალკეულ რაიონებისათვის შემოსავლიანობის ნორმები სოფლის მეურნეობის სხვა და სხვა დარგებისა და კულტურების მიხედვით თანახმად დანართისა;

**3.** სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კანონის მე-5 მუხლის „ბ“ პუნქტის შესაბამისად, მრავალწლიანი ნარგავების მსხმოიარე ასაკად ჩაითვალოს: ციტრუსებისათვის 7 წელზე მეტი, ვენახებისათვის 4 წელზე მეტი, კურკოვანი ბაღებისათვის 4 წელზე მეტი გარდა ატმის ნარგავებისა, რომელთათვის მსხმოიარე ასაკად ჩაითვალოს სამ წელზე მეტი, თესლოვანი ხილის ბაღებისათვის 8 წელზე მეტი, დაფნის ნარგავებისათვის 4 წელზე მეტი და ჩაის პლანტაციებისათვის 5 წელზე მეტი.

**4.** დაევალოს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს დახმარების გაწევის მიზნით მიამაგროს რაიონებზე საქ. სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის მუშაკები 22 კაცის რაოდენობით თანახმად თანდართული სიისა.

**5.** ანიჭებს რა განსაკუთრებულ მნიშვნელობას სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კანონის სწორად გატარებას, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ავალებს აფხაზეთის და აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოების თავმჯდომარეებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს და ყველა რაიონულ აღმასრულებელ

კომიტეტების თავმჯდომარეებს უშუალოდ ხელმძღვანელობა და ყოველდღიური მეთვალყურეობა გაუწიონ მთელ მუშაობას სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ჩასატარებლად 1939 წელს, უზრუნველჰყონ ამ საქმეში ყოველგვარი დახმარება ფინორგანოებისათვის და მიიღონ საჭირო ზომები სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გადამხდელთა, კოლმეურნეთა პირადი მეურნეობის და ერთპიროვნულ გლეხურ მეურნეობათა დასაბეგრავი შემოსავლის, არა სამიწათმოქმედო საძოვრებისა და გადამხდელთა საბაზრო შემოსავლის აღრიცხვის მთელი მუშაობის წარმატებით ჩასატარებლად.

6. დაევალოს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს ყოველ ხუთ დღეში წარმოუდგინოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს ინფორმაცია სასოფლო-სამეურნეო გადასახადის 1939 წელში ჩატარების მსვლელობის შესახებ ახალი კანონის თანახმად.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მ. ა. ი. **შელეგია.**

1939 წ. სექტემბრის 23. № 1797.
თბილისი.

---

დანართი

## 1939 წ. საქართველოს სსრ ცალკეულ რაიონებისათვის შემოსავლიანობის ნორმები სოფლის მეურნეობის სხვა და სხვა დარგებისა და კულტურების მიხედვით.

| რაიონები | მარცვლეული და სხვა ტექნ. კულტურები, გარდა ჩამოთვლილისა | კარტოფილი | შაქრის ჭარხალი | ბამბა | ჩაი | თამბაქო | ლუფა | ბოსტნები და ბაღჩები | ბაღები (მათ შორის სუბტროპიკული ნარგაობა) და ვენახები | ვენახები | ციტრუსები | კეთილშობილი დაფნა | [illegible] | მეაბრეშუმეობა (შემოსავალი ერთ კოლოფზე) | მეფუტკრეობა: ჩარჩოიანი სკა | მეფუტკრეობა: ბოლიანი სკა | შემოსავალი 1 სულ პროდუქ. პირუტ.: ძროხები | შემოსავალი 1 სულ პროდუქ. პირუტ.: ცხვრები და თხები | შემოსავალი 1 სულ პროდუქ. პირუტ.: ღორები | შემოსავალი მუშა პირუტყვის გამოყენებიდან თავის მეურნეობაში: ცხენები აქლემები ჯორები | შემოსავალი მუშა პირუტყვის გამოყენებიდან თავის მეურნეობაში: ხარები და კამეჩ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 | 22 |
| 1. აბაშის | 600 | 900 | | | | 1750 | | 1900 | 4000 | 4200 | 3500 | | | 140 | | | 300 | | | | |
| 2. აღბულაღის | 500 | 1250 | | | | 1750 | | 2500 | 3000 | 6500 | — | | | 100 | | | 420 | | | | |
| 3. ადიგენის | 380 | 1100 | | | | 1750 | | 1900 | 4000 | 4200 | — | | | 100 | | | 300 | | | | |
| 4. ამბროლაურის | 380 | 900 | | | | 1750 | | 1900 | 3000 | 5500 | — | | | 100 | | | 300 | | | | |
| 5. ასპინძის | 380 | 900 | | | | 1750 | | 1900 | 3000 | 4200 | — | | | 100 | | | 300 | | | | |
| 6. ახალქალაქის | 500 | 1100 | 300 მანეთი ყველა რაიონისთვის | 2,000 მანეთი ყველა რაიონისთვის | 2,000 მანეთი ყველა რაიონისთვის | 1750 | 4,000 მანეთი ყველა რაიონისთვის | 1900 | 3000 | 4200 | — | 2,000 მანეთი ყველა რაიონისთვის | 400 მანეთი ყველა რაიონისთვის | 100 | 30 მანეთი ყველა რაიონისთვის | 15 მანეთი ყველა რაიონისთვის | 420 | 30 მანეთი ყველა რაიონისთვის | 150 მანეთი ყველა რაიონისთვის | 400 მანეთი ყველა რაიონისთვის | 200 მანეთი ყველა რაიონისთვის |
| 7. ახალციხის | 380 | 1100 | | | | 1750 | | 2500 | 4000 | 4200 | — | | | 100 | | | 300 | | | | |
| 8. ბაღდადის | 600 | 900 | | | | 1750 | | 2500 | 4000 | 6500 | — | | | 140 | | | 300 | | | | |
| 9. ბაშკიჩეთის | 500 | 1250 | | | | 1750 | | 1900 | 3000 | 4200 | — | | | 100 | | | 420 | | | | |
| 10. ბოგდანოვკის | 500 | 1100 | | | | 1750 | | 1900 | 3000 | 4200 | — | | | 100 | | | 420 | | | | |
| 11. ბორჯომის | 380 | 1250 | | | | 1750 | | 2500 | 3000 | 4200 | — | | | 100 | | | 420 | | | | |
| 12. ბორჩალოს | 600 | 1250 | | | | 2600 | | 3000 | 3000 | 6500 | — | | | 100 | | | 420 | | | | |
| 13. ვანის | 600 | 900 | | | | 1750 | | 3000 | 4000 | 6500 | — | | | 140 | | | 300 | | | | |
| 14. გეგეჭკორის | 600 | 900 | | | | 1750 | | 1900 | 3000 | 6500 | 3500 | | | 140 | | | 300 | | | | |
| 15. გორის | 500 | 1100 | | | | 1750 | | 2500 | 4500 | 5500 | — | | | 100 | | | 300 | | | | |
| 16. გურჯაანის | 600 | 1100 | | | | 2000 | | 3000 | 4000 | 6500 | — | | | 180 | | | 300 | | | | |
| 17. დუშეთის | 380 | 900 | | | | 1750 | | 1900 | 8000 | 4200 | — | | | 100 | | | 300 | | | | |
| 18. ზესტაფონის | 500 | 900 | | | | 1750 | | 1900 | 4000 | 6500 | — | | | 180 | | | 300 | | | | |
| 19. ზუგდიდის | 600 | 900 | | | | 2000 | | 2500 | 4000 | 4200 | 3500 | | | 140 | | | 300 | | | | |
| 20. ყაზბეგის | 380 | 900 | | | | 1750 | | 1900 | 3000 | 4200 | — | | | 100 | | | 300 | | | | |
| 21. ყარაიის | 600 | 1250 | | | | 2000 | | 3000 | 4000 | 5500 | — | | | 100 | | | 420 | | | | |
| 22. ქარელის | 500 | 1100 | | | | 1750 | | 2500 | 4500 | 4200 | — | | | 100 | | | 300 | | | | |
| 23. კასპის | 500 | 1100 | | | | 1750 | | 2500 | 4500 | 5500 | — | | | 100 | | | 300 | | | | |
| 24. ყვარლის | 600 | 1100 | | | | 2600 | | 3000 | 4000 | 6500 | — | | | 140 | | | 420 | | | | |
| 25. ქვემო-სვანეთის | 380 | 900 | | | | 1750 | | 1900 | 3000 | 4200 | — | | | 100 | | | 300 | | | | |
| 26. ქუთაისის | 600 | 1250 | | | | 1750 | | 3000 | 4500 | 6500 | — | | | 180 | | | 380 | | | | |
| 27. ლაგოდეხის | 600 | 1100 | | | | 2600 | | 2500 | 4000 | 5500 | — | | | 140 | | | 300 | | | | |
| 28. ლანჩხუთის | 600 | 900 | | | | 1750 | | 2500 | 4000 | 5500 | 6500 | | | 140 | | | 300 | | | | |
| 29. ლიუქსემბურგის | 600 | 1250 | | | | 1750 | | 2500 | 4000 | 6500 | — | | | 140 | | | 420 | | | | |
| 30. მახარაძის | 600 | 900 | | | | 1750 | | 1900 | 4500 | 5500 | 6500 | | | 140 | | | 300 | | | | |

N 20

## 1939 წ. საქართველოს სსრ ცალკეულ რაიონებისათვის შემოსავლიანობის ნორმები სოფლის მეურნეობის სხვა და სხვა დარგებისა და კულტურების მიხედვით.

| რაიონები | მარცვლეული და სხვა კულტურები ბაღჩა-ბოსტნეულის გარეშე | კარტოფილი | შაქრის ჭარხალი | ბამბა | ჩაი | თამბაქო | ტუნგო | ბოსტნეული და ბაღჩეული | ბაღები (მათ შორის სუბტროპიკული ნარგავები) და კენკროვნები | ვენახები | ციტრუსები | კეთილშობილი დაფნა | სათიბები | მეაბრეშუმეობა (შემოსავალი ერთ კოლოფზე) | მეფუტკრეობა: ჩარჩოიანი სკა | მეფუტკრეობა: ფუტურო სკა | შემოსავალი 1 სულ პროდუქ. პირუტ.: ძროხები | შემოსავალი 1 სულ პროდუქ. პირუტ.: ცხვრები და თხები | შემოსავალი 1 სულ პროდუქ. პირუტ.: ღორები | შემოსავალი მუშა პირუტყვის გამოყენებიდან თავის მეურნეობაში: ცხენები აქლემები ჯორები | შემოსავალი მუშა პირუტყვის გამოყენებიდან თავის მეურნეობაში: ხარები და კამბ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 | 22 |
| 31. მცხეთის | 500 | 1250 | | | | 1750 | | 3000 | 4500 | 5500 | — | | | 100 | | | 300 | | | | |
| 32. ონის | 380 | 900 | | | | 1750 | | 1900 | 3000 | 4200 | — | | | 100 | | | 300 | | | | |
| 33. ორჯონიკიძის | 380 | 900 | | | | 1750 | | 1900 | 3000 | 6500 | — | | | 100 | | | 300 | | | | |
| 34. ფოთის | 500 | 900 | | | | 1750 | | 2500 | 3000 | 4200 | 6500 | | | 140 | | | 300 | | | | |
| 35. საგარეჯოს | 600 | 1250 | | | | 1750 | | 2500 | 4000 | 5500 | — | | | 100 | | | 420 | | | | |
| 36. სამტრედიის | 600 | 1250 | | | | 1750 | | 3000 | 4500 | 5500 | 3500 | | | 180 | | | 300 | | | | |
| 37. საჩხერის | 380 | 900 | | | | 1750 | | 1900 | 3000 | 6500 | — | | | 100 | | | 300 | | | | |
| 38. სიღნაღის | 600 | 1100 | | | | 2000 | | 3000 | 4000 | 6500 | — | | | 180 | | | 420 | | | | |
| 39. თბილისის | 500 | 1250 | | | | 1750 | | 3000 | 4500 | 5500 | — | | | 100 | | | 420 | | | | |
| 40. თელავის | 600 | 1100 | | | | 1750 | | 2500 | 4000 | 6500 | — | | | 180 | | | 420 | | | | |
| 41. თიანეთის | 380 | 1100 | | | | 1750 | | 1900 | 3000 | 4200 | — | | | 100 | | | 300 | | | | |
| 42. ტყიბულის | 380 | 900 | | | | 1750 | | 1900 | 4500 | 4200 | — | | | 180 | | | 300 | | | | |
| 43. ხაშურის | 500 | 1100 | | | | 1750 | | 2500 | 4000 | 4200 | — | | | 100 | | | 300 | | | | |
| 44. ხობის | 600 | 900 | | | | 1750 | | 1900 | 4000 | 4200 | 3500 | | | 140 | | | 300 | | | | |
| 45. ცაგერის | 380 | 900 | | | | 1750 | | 1900 | 3000 | 5500 | — | | | 100 | | | 300 | | | | |
| 46. წალენჯიხის | 380 | 900 | | | | 2000 | | 1900 | 3000 | 4200 | 3500 | | | 140 | | | 300 | | | | |
| 47. წალკის | 380 | 1100 | | | | 1750 | | 1900 | 3000 | 4200 | — | | | 100 | | | 420 | | | | |
| 48. წითელ-წყაროს | 600 | 1100 | | | | 2000 | | 2500 | 3000 | 5500 | — | | | 180 | | | 420 | | | | |
| 49. წყალტუბოს | 600 | 1250 | | | | 1750 | | 3000 | 4500 | 5500 | — | | | 180 | | | 300 | | | | |
| 50. ცხაკაიას | 600 | 900 | | | | 1750 | | 2500 | 4000 | 5500 | 3500 | | | 140 | | | 300 | | | | |
| 51. წულუკიძის | 600 | 900 | | | | 1750 | | 2500 | 4000 | 5500 | — | | | 180 | | | 300 | | | | |
| 52. ჭიათურის | 380 | 900 | | | | 1750 | | 1900 | 3000 | 5500 | — | | | 100 | | | 300 | | | | |
| 53. ჩოხატაურის | 380 | 900 | | | | 1750 | | 1900 | 4000 | 5500 | 3500 | | | 140 | | | 300 | | | | |
| 54. ჩხარის | 500 | 900 | | | | 1750 | | 1900 | 3000 | 6500 | — | | | 140 | | | 300 | | | | |
| 55. ჩხოროწყუს | 380 | 900 | | | | 1750 | | 1900 | 3000 | 5500 | 3500 | | | 140 | | | 300 | | | | |
| **აფხაზეთის ასსრ.** | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 56. სუხუმის | 600 | 1100 | | | | 2600 | | 3000 | 4500 | 5500 | 6500 | | | 140 | | | 300 | | | | |
| 57. ოჩემჩირის | 600 | 900 | | | | 2600 | | 1900 | 4000 | 5500 | 6500 | | | 140 | | | 300 | | | | |
| 58. გუდაუთის | 500 | 1100 | | | | 2600 | | 3000 | 4000 | 6500 | 6500 | | | 140 | | | 300 | | | | |
| 59. გალის | 600 | 900 | | | | 2000 | | 1900 | 4000 | 4200 | 6500 | | | 140 | | | 300 | | | | |
| 60. გაგრის | 500 | 1100 | | | | 2600 | | 3000 | 4500 | 5500 | 6500 | | | 140 | | | 300 | | | | |
| **აჭარის ასსრ.** | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 61. ბათუმის | 500 | 900 | 300 მანეთი ყველა რაიონისათვის | 2000 მანეთი ყველა რაიონისათვის | 2000 მანეთი ყველა რაიონისათვის | 1750 | 4000 მანეთი ყველა რაიონისათვის | 2500 | 4000 | 4200 | 6500 | 2.000 მანეთი ყველა რაიონისათვის | 400 მანეთი ყველა რაიონისათვის | 100 | 30 მანეთი ყველა რაიონისათვის | 15 მანეთი ყველა რაიონისათვის | 300 | 30 მანეთი ყველა რაიონისათვის | 150 მანეთი ყველა რაიონისათვის | 400 მანეთი ყველა რაიონისათვის | 200 მანეთი ყველა რაიონისათვის |
| 62. ქობულეთის | 600 | 900 | | | | 1750 | | 2500 | 4500 | 5500 | 6500 | | | 100 | | | 300 | | | | |
| 63. ქედის | 380 | 900 | | | | 1750 | | 1900 | 3000 | 4200 | — | | | 100 | | | 300 | | | | |
| 64. ხულოს | 380 | 900 | | | | 1750 | | 1900 | 3000 | 4200 | — | | | 100 | | | 300 | | | | |
| **სამხ. ოსეთის ავ. ოლ.** | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 65. სტალინირის | 500 | 1100 | | | | 1750 | | 2500 | 4500 | 5500 | — | | | 100 | | | 300 | | | | |
| 66. ლენინგორის | 380 | 1100 | | | | 1750 | | 1900 | 4000 | 5500 | — | | | 100 | | | 300 | | | | |
| 67. ზნაურის | 500 | 900 | | | | 1750 | | 1900 | 3000 | 4200 | — | | | 100 | | | 300 | | | | |
| 68. ჯავის | 380 | 1100 | | | | 1750 | | 1900 | 3000 | 4200 | — | | | 100 | | | 300 | | | | |

**87.** **ქ. თბილისში „გაზ-ა“ მსუბუქი მანქანების მოძრაობის აკრძალვის შესახებ.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

აიკრძალოს 1939 წ. 20 სექტემბრიდან „გაზ-ა“ მსუბუქი მანქანების მოძრაობა ქ. თბილისში.

საქ. სსრ ს. კ. ს-ის თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ის საქმეთა მმართველის მ. ა. **ი. შელეგია.**

1939 წ. სექტემბრის 16. № 1750.
თბილისი.

---

**88.** **თელავისა და ზემო-სვანეთის რაიონებში წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლების მეცადინეობაზე დაუსწრებლობისათვის მოქალაქეთა დაჯარიმების შესახებ.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. გაუქმდეს, როგორც უკანონო, თელავისა და ზემო-სვანეთის რაიაღმასკომების პრეზიდიუმების დადგენილებანი წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლების მეცადინეობაზე დაუსწრებლობისათვის მოქალაქეთა დაჯარიმების შესახებ.

2. განემარტოს ყველა რაიაღმასკომს, რომ შეუწყნარებელია წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლებში წერა-კითხვის უცოდინართა და მცირემცოდნეთა მისაზიდად წარმოებული მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის შეცვლა ადმინისტრატიული ზეგავლენის მეთოდებით, როგორიცაა ჯარიმების გადახდევინება.

3. გაუქმდეს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1934 წლის 10 მარტის დადგენილება „საქართველოს სსრ მშრომელ მოსახლეობაში წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის ღონისძიებათა შესახებ“, (საქ. სსრ კან. კრ. 1934 წ. № 7, მუხ. 80), როგორც ისეთი დადგენილება, რომელიც გაუგებრობას იწვევს რაიონულ ორგანიზაციებს შორის წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საკითხებში.

საქ. სსრ ს. კ. ს-ის თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ის საქმეთა მმართველის მ. ა. **ი. შელეგია.**

1939 წ. ოქტომბრის 3. № 1889.
თბილისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## გ ა ს წ ო რ ე ბ ა

დადგ. კრებულში № 9—1939 წ. 149 გვერდზე, სტრიქონი 15 და 18 №№ რიგ.

| დაბეჭდილია | უნდა იყოს |
|---|---|
| 16 | 18 |

დადგ. კრებულში № 13—1939 წ. 213 გვერდზე, სტრიქონი 6, 8 და 10 №№ რიგ.

| დაბეჭდილია | უნდა იყოს |
|---|---|
| 17 და 18 | 19 და 20 |

4
РУСТ 33,35
Г,КС ИМЭЛ
I 12 СБ ГР

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამომცემელი: საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო

უნდა ჩაბარდეს პირველ რიგში
ხელწერილის ქვეშ

მ ი ს ა მ ა რ თ ი ს ა თ ვ ი ს

ფასი 40 კაპ.

გამომცემლობა „კომუნისტის“ პოლიგრაფიული კომბინატი, ლენინის ქ. № 28.

მთავლიტის რწმ. № რ—492 შეკვ. № 1089 ტირაჟი 2000